

6481

ქართული
ენათმეცნიერება

ნაგაღწელი



საუბრალოთ ჟურნალი



მცირეფორმანთათვის

მ. ივნიძე

№ 11.

1916 წ. ზ.

ნაკადულის ხელნაწერებითა საშუალებად

„ნაკადული“-ს რედაქცია საზოგადოებრივ ხელისმომწერთ,
რომელთაც მხოლოდ ნ-ხევიარ წლის ფული აქვთ შემოტანილი,
დააქარონ დანარჩენი ფულის შემოტანა: წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში დღევანდელი მკიმიე მდგომარეობა აიძულებს რედაქციის
ივლისიდან ჟურნალის გზავნა მოუსპოს. ქალაქი მეტად გა-
ძვირდა და ძნელი საშოვარია. რედაქცია ხელისმომწერთა
რაოდენობაზე ზედმეტ ნომრებს ვერ დაბეჭდავს, ანაგაო იმ
ხელისმომწერთათვის, რომელნიც ფულის გამოკზავნას დაიგვი-
ნებენ, რედაქციის გასაგზავნი ნომრები აღარ ექნება.



გულუღი

საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ბიბლიოთეკის
გამოცემის

საქართველოს
ბიბლიოთეკის
გამოცემის

წელიწადი მე-XII.

№ 11

ივნისი, 1916 წ.



მსუნაგები დაისაჯნენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—შსუნაგები დაისაჯნენ,—სურათი	1
II—გამიწყრა,—ლექსი ბაბილონასი	3
III—არსენა და ბაკია,—ლეო კიაჭელისა	5
IV—მღვდლის შვილე,—(რაკაში ჩაწერილი ზღაპარი) პ. შარაბიძის მიერ	15
V—მელისა ეშმაკობა,—ი. ნ.—სა	21
VI—ჩხუბი,—(თარგმანი) ან. ახალშენიშვილისა	23
VII—რებუსი და ილსნა	24



გ ა მ ი თ ყ რ ა



ილას რქე დაძიდვარა,
დააზნია კოლიო,

დავტუქსე და გაძიწურა,
როგორ დაეიუოლიო?

დაწენარდა... სიწენარესა
თან სიწუჟე დაერთო;
მაგრამ არ მოიწეინა,
მაღე თვითვე გაერთო:

ქოსმახი ააშენა,
აივანით, ბანიტა;
ხან ჩილიკა გათბლა
მეტად ჩლუნგი დანიტა...



— მოდი, კარგი, შევრიგდეთ!
 მოდი, მხარზე დაგისვამ;
 ქოჩორს გადაგივარცხნი,
 ზედ სუნეულ წეალს წაგისვამ.

სახლის მოვლას მოვრჩები;
 გავიხრთოთ მინდორზე.
 გინდა, მიწას რომ სჩიქნის,
 გინდა შეგსვა იმ ღორზე?

ცალი თვალთ მიცქერის...
 — ვერა ჭბედავ, არ გჯერა?
 იქნებ აღარც დამჯერდეს,
 თუნდ დაგჭირდე ასჯერა!..

დილას რმე დამიღვარა,
 დაახნია კოლიო,
 დაუტუქსე და გაშიწურა:
 როგორ დავიუოლიო?

ბამილინა





არსენა და ბაჭია



არსენა მთელ დღეს ტყეში ატარებს, იმი-
 ტომ რომ არსენას ტყე ძალიან უყვარს.
 მას სულაც არ ეშინია ტყისა, რომე-
 ლიც ისეთი კოხტა და მშვენიერი, რომ
 უფრო ნაირ ვარდ-უვავილისაგან შეკონილ თაიგულსა ჰგავს!..
 არსენას სახლიდან იგი სულ ახლო მდებარეობს, ჰატარა მალ-
 ლობზეა გაშლილი და შორიდან ისე მოსჩანს, თითქო არსე-
 ნას დედის მიერ ნააშბობი ზღაპრის გპირ-უმწყვილის თმა-
 ხუჭუჭა თავი იღოს.

არსენა თითოეულ ხეს იცნობს ტყეში, თუ რომელს რა
 სახელი ჰქვია, რომელი სად სდგას, როგორი არის და რა
 რიგად გაზდილი... როცა შევა სოლმე ტყეში, ჯერ საუვა-
 რელ ხეებს მივსაღებთ, თითოეულთან ცალ-ცალკე მივა და
 ხელებს მოხვევს ტანზე... ასეთი საუვარელი ხეები სულ რამ-

დენიმე სდგას ტუეში. დანარჩენებს კი საერთო საღამოს მიუძღვნის.

მაგრამ ერთი ზე მანც განსაკუთრებით უუვარს არსენას. ეს არის დიდი ფუღუროიანი ძველი მუხა, გრძელი და მომსხო-მომსხო, ძირს დაშვებული ტორტებით. ფუღურო ისეთი დიდი აქვს ამ მუხას, რომ არსენა თავისუფლად შედის შიგ. იგი საკმარისად ვრცელია და ღრმაც. არსენას ეს ფუღურო საკარგო ოთახად აქვს შინეული და შესაფერისადაც მოწუობილ-მორთული... საკუთარი ზელოთ წნილი ლამაზი კარი ზედ მუხაგაღმართან აქვს დაკიდებული; კარს ქვეშ კი კიბის მზგავსად ჰრტუელ-ჰრტუელი ქვები დაწუობილი, სოლო კარს ზეით ძველი ნაწოვნი ნალი ლურსმით მიჭედელი, რათა ვინმე ავსა და ბოროტს ფესი ვერ შეედგა არსენას სადგურში და თვალი არ დაეკრა იქაურობისათვის.

ფუღუროში არსენა ინახავს თავის დიდ-ტარბან გრძელ დანას, რომელიც ისეთი მჭრელია, რომ ერთი მოქნევის მეტი არ სჭირდება რტოს მოსაჭრელად. საგანგებოდ შეკერილ ქარქაშში აქვს ის ჩადებული არსენას და კედელზე უკიდია... როცა სანადიროდ მიდის, ან რამეს მუშაობს, მაშინ ჩამოიკიდებს მხოლოდ ქამარზე. დანის გვერდით აქვს ჩამოკიდებული საუვარელი მშვილდ-ისარიც, სიდან გაკეთებული ქვის მსო-ლაჟი დამბაჩაც, უავრიდან გამოჭრილი სძალიცა და ბევრი სხვა ამისთანა, რაც არსენას სჭირდება ტუეში უშიშრად ეო-ფნისა და აგრეთვე ნადირობისთვის... ფუღუროშივე აქვს შენახული სასკოლო და ისე საკითხავი წიგნები, სახატავი და საწერი ქაღალდიც, მისი მოწუობილობით!

არსენას დიდად უუვარს წიგნის კითხვა და ბევრსაც კითხულობს სოლმე! სატვაც უუვარს და იცის... ხშირად ადის მუხაზე, ერთ მოსდენილ ტორტსა და ტანს შუა ჩაჯდება და ან კითხულობს, ან სატავს. ბევრი ცოდნაც აქვს არსენას შე-

მენილი წიგნების კითხვით. მან იცის ნადირობა და მხეცთა ამბავი, მათი ზნე და ჩვეულებანი, აგრეთვე რომელი სად ცხოვრობს და როგორ ცხოვრობს. ზოგიერთს სეპირადაც ხატავს კიდევ. ნიჭიერი ბავშვია არსენა!.. მასწავლებელს არა ერთხელ შეუქია ის სკოლაში და საკითხავი წიგნებითა და რვეულებით დაუსაჩუქრებია!.. ერთხელ მან მისი საუფარუ-ლი მუსა დახატა. ვისაც კი უჩვენა ნახატი, ეველა გააკვირ-ვა მხეცავსებამ დახატულსა და ნამდვილს შორის!... ამის შემ-დეგ იყო, რომ უფროსმა მამამ არსენას სახატავი ფერადები უუიდა და მთელი მოწყობილებაც.

— აი, არსენა, თუ ვარჯხარ, რასაც დახატავ, იმისი ფე-რიც გადაიღე ქაღალდზე, და მაშინ ნამდვილად საქები იქნე-ბიო, — უთხრა მან, როცა მკირფასი საჩუქარი გადასცა, და განუმარტა, თუ როგორ უნდა მოეხმარა იგი. არსენას სინა-რულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა ის უფრო მეტს ხატავდა, ვინემ წინად, უფრო მეტის გულმოდგინებით მაცადინობდა სა-უფარელი მუსის ძირში, თავისი ფუღურო — ოთახის წინ...

ერთხელ, ხატვას რო შორხა, არსენამ ჩამოსხნა სანადი-რო იარაღები ფუღუროს კედელზე და სანადიროდ წავიდა. მხისაგან საჩუქრის მიღების შემდეგ ხატვამ დიდად გაიტაცა, და კარგა ხანი იყო, რომ არ ენადირა. ერთ ადგილას მას ერთი გულწითელა ეგულვებოდა. არა ერთხელ მოუწადინებია არსენას ამ მშვენიერი ჩიტის დახატვა, მაგრამ ვერ მოეხერ-ხებია. ახლა განზრახვა ჰქონდა ხელში ჩაეგდო იგი როგორ-მე. არსენა ცუდს არაფერს დაძარცვდა გულწითელას. გალია-ში დაამწყვდეოდა ორი დღით მხოლოდ, ატყვედა, ასმევდა და, როგორც კი გადასატავდა, მაშინვე განთავისუფლებდა. მამ, საწვალელებად ან თავის განსართევლად კი არ უნდოდა გულ-წითელა! არსენას სწამს, რომ ლამაშმა გულწითელამ არ იცის მისი განზრახვა, თორემ თავად ესტუმრებოდა მას მუსის ძირ-

ში და თავს დაახატვინებდა. საწყალ ჩიტუნისა ალბად არსენა ისეთივე უკულო და ავი ჰკონია, როგორც სოფლის სხვა ბავშვები არიან!

ისიც იყო ნაცნობ ადგილს უახლოვდებოდა არსენა და ფეს-აკრეფით აპირებდა გზის გაგრძელებას, რომ მოულოდნელად რაღაცამ შეანძრია მახლობელი ბუჩქი და სვებიდან ჩამოცვიფნული გამსძარი ფოთლები შეასძაურა.

„გველი იქნება!“ — გაიფიქრა არსენამ; შედგა და ფრთხილად შეათვალიერა იქაურობა... მაგრამ თეთრმა რამ ცხოველმა გაურბინა თვალწინ და მეორე ბუჩქში შეაფარა თავი.

— ბიჭოს!.. ეს რა უნდა იყოს?! — სძაძაღლა სთქვა ახლა არსენამ. სულაც დაავიწყდა გულწითელა, განზე გადაბგდო შვილდ-ისარი, რომ ხელი არ შეეშალა, და დანა იძრო. იმ ბუჩქს მიაბურა, სადაც უცნობი ცხოველი დაიძალა. იქიდან კი ურეზ-დაწურული ბაჭია გამოსტა! გულის ძკერა შეუჩერდა ამის დანახვასზე! არსენამ ერთდროულად შიშიც იგრძნო და სინაზლიც!.. გამოედევნა ბაჭიას!.. ისიც, დამფრთხალი, მახლობელი ხის მიწიდან ამოწეულ ფესვს ქვეშ გაკეთებულ სოროში შეიჭრა... არსენა შურდულივით მივარდა მას... და მთელი ტანით აცანცანებული, შემკრთალ-შეშინებული ბაჭია თვალის დახამსამებაზე სოროდან გამოიყვანა!

— შენი ჭირიმე, ბაჭია! — წამოიძახა აღფრთოვანებით. — ნუ შეგეშინდება!.. მეგობრები ვიყავთ... მეგობრები, შენი ჭირიმე! — ლოყით მიედო, ბუძბულოვანი ტანი დაუკოცნა. შემდეგ გულზე მისუტებით თავის საეგარელ მუხისკენ გააქანა. გადაგდებული შვილდ-ისარი არც კი გასწენებია. მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, წინ გატვორცნილი ისარივით სწრაფმა რაღაცამ გადურბინა გზაზე და ბუჩქებში შეიჭრა.

— ჭეი!—შეჭევირა ცოტა არ იუოს გაკვირვებულმა არსენამ, მაგრამ არ შეჩერებულა. მიმოიხედა კი. გარშემო არავინ იყო. მაშინ კვლავ სირბილით განაგრძო გზა. ახლა კი უკან ნიდან შემოესმა განკვეთილი ჭაერის რისხვიანი ჩაწივლები:— თითქო ვიღაცა დაედევნა და მაგრად გასროლილ ქვასავით ფეხებში ეცა. ახლა კი შესდგა არსენა.

— რომელი ხარ?—შეუტია ვაჟკაცურად. მაგრამ ხმაურობა ისე უცბად მიწუდა, როგორც ატყდა; თითქო არსენას იგი მოჩვენებოდეს. კარგად მოათვალიერა იქაურობა:—არსადიდან ჩქამი. გაუკვირდა. „აღბად ჩემივე ფეხების სმა იყო“! გაიოფიქრა და გულზე მიკრული ბაჭია კვლავ ფულუროსკენ გააბოქანა...

აი, დაუახლოვდა უკვე მუხას.

— შემომხედე, შემომხედე, ჩემო მუხავ, ვინ მოგიევანგე!! გაიხარე!.. ზაწაწინა კურდღელი მოძეავეს მენთან!.. ზაწაწინა თეთრი კურდღელი!—მიამხსა მუხას. ხოლო იმავე წამს წინანდებურად, უცნაურად, გაინძაურა რაღაცამ მის გვერდით, და ჭაერის გაჯავრებულმა ტალღამაც ზედ ეურებთან მიუსისინა!

— შესდგე, მტარვალო!!—თითქო ეს ჩასძახა ეურში.

ვერ მოასწრო არსენამ შეჩერება და მოხედვა, რომ მოათეთრომ, თლილ ისარს დამსგავსებულმა რამ ცხოველმა, მიწიდან კარგა მანძილზე სასწაულებრივ ქაერში შეტეორცნილმა, სამინელი მსუილით წაუსწრო წინ არსენას და ხეებისა და ბუჩქების შორის მიიძალა.

— ღმერთო!—წამოცდა არსენას. ისე შეეშინდა, რომ კინაღამ ბაჭიას ხელი უშვა.

— კურდღელია!—გაუელვა ეჭვად თავში.—დიდი კურ-





დღელი!!—როცა გამოერკვა შიშისაგან არსენა, მიხვდა, რომ მისი მღვდარი ბაჭიას დედა უნდა ეოფილიყო, დატყვევებული შვილის გასახთავისუფლებლად ამხედრებული. კი, ნამდვილად კურდღელი იყო! არსენამ ასლა სრულებით გამოიწრო იგი.

— ვაიმე, საწყალი კურდღელი!!.. იმას ჰგონია, რომ შევილს მოუკლავ! როგორ უთხრა, რომ არა!—დანადვლიანდა არსენა. ჩაუქრდა. შეეცოდა დედა-კურდღელი. ახრად მოუვიდა ბაჭიას განთავისუფლება... მაგრამ შეუოქმანდა. ვერ შევიდა.

— კი, მაგრამ ტყიდან რომ არ გამოვახს!.. ჩემს ფულუროში შევიღებ... თავისუფლად!.. დედამ იაროს მასთან!.. არა თუ იაროს, სულ იცხოვროს ფულუროში ჩვენთან!.. ორსავე მოუვლი!.. თუ არა, საწყალი ბაჭია ცოდვა ახე ტყეში... რა ვიცი, რა დაემართება! დედას კი უუვარს იგი, მაგრამ დედას განა შეუძლია მისი დაცვა მტრებისაგან??.. არა!.. მე ვერ ვანდობ ასლა დედას ბაჭიას!.. აი, თუ უნდა შვილის სიკეთე, მოვიდეს თვითონ და ჩვენთან იცხოვროს!!—დაასვენა ბოლოს არსენამ და ნელი საბიჯით წამოვიდა მუხისკენ. მოდიოდა და თან დედა-კურდღელს უსმობდა, ეპატიებოდა: ნუ გეშინიაო, არსად მიმეხვს ტყიდან ბაჭიაო! აკერ მუხის ფულუროში ვიცხოვრებთ ერთადო, კმაყოფილად და თავისუფლადო. თუ გინდა, შენც ჩვენთან მოდი და იცხოვრეო. შენსე ნაკლებ არ მიუვარს ასლა ბაჭიაო.. და სხ. ამისთანას ეუბნებოდა დედა-კურდღელს. მაგრამ დედა-კურდღელი უკვე აღარსად სჩანდა. ვინ იცის, იქნება კი იყო სადმე იქ მიძალული და უსმენდა არსენას, მაგრამ ეშინოდა გამოჩენისა და კაცის შვილის ტყბილი სიტყვები არ სჯეროდა... იქნება ტიროდა კიდევაც შვილის დაკარგვას და გული ეთუთქებოდა, მაგრამ რას გააწეობდა! ისე კი არსენას კეთილი გულის ამბავი საიდან ეცოდინებოდა, რომ შვილი სამშვიდობოს ჰგონებოდა!?. გამოცდი-

ლებით იცოდა, რომ მთელი ქვეყანა კურდღლებს მტრად ჰქაყვდა გადაკიდებული, და არსენას როგორ მინდობოდა?..

* *

გავიდა რამდენიმე სანი. არსენა და ბაჭია დაშვებოდნენ, შეეთვისნენ ერთმანეთს. არსენა თავის მეგობარს არაფერს აკლებდა, რაცკი მას ფულუროში ცხოვრებას გაუადვილებდა და ასაღ ზირობებს შეაგუებდა!..

როცა კარგა მოშინაურდა ბაჭია, არსენამ იგი სახლში წაიყვანა. გააცნო თავისიანებს. ერთ შესვლაზე შეიყვარეს ბაჭია. ეველზე უფრო კი შეუყვარდა ბაჭია არსენას უძროს დას, ნათელას.

— მაჩუქე, არსენა, ბაჭია!.. შე ის ძალიან მომწონს და მიყვარს!.. ნუ წაიყვან ტყეში!—სთხოვა მან მძას. მაგრამ არსენა არ დასთანხმდა.

— შენ შენს დედოფლებს მოუარე!.. ბაჭია კი ჩემი მეგობარია... შენ გგონია, ბაჭია ისეთია, რომ მისი გაჩუქება შეიძლება? ბაჭიას თავისი დედა ჰქაყვს!.. მაშა!.. შე დედა მისს სიტყვა მივეცი, რომ ბაჭიას ტყიდან არ წავიყვან და არც სხვას ვისმე მივეცე!.. თუ გინდა, მოდი და ნახე... მის ბინაზე!..—მიუგო არსენამ ნათელას. ნათელას გული დასწყდა. უფრო და უფრო მიუაღერსა ბიჭიას. სულ დაუგოცნა სახეც და ტანიცა. შემდეგ წახისნა თმაზე წითელი აბრეშუმის ბანტი და ბიჭიას შემოაკრა კისერზე.

— აბა, ეს მაინც ჰქონდეს სასსოვრად ჩემკან!.. მითხარი, რომ არ მოხსნი ბანტსა და სულ კისერზე ექნება!—უთხრა ნათელამ. ეს კი გაუსარდა არსენას. გაუსარდა ერთი იმიტომ, რომ მისმა უძროსმა დამ ასეთი უურადლება გამოიჩინა მისი მეგობრისადმი, მეორე კი იმიტომ, რომ ბაჭიას ძალიან დაშვენდა წითელი ბანტი! ისედაც ლამაზი თეთრი კი-

სერი წითელმა ფერმა უფრო გაულამაზა. ბაჭიამაც იგრძნო ეს და სისარულისაგან ისეთი შეკუნტრუშდა, რომ ვინც კი იქ იყო, ეკელანი გაამსიარულა!

ამის შემდეგ არსენას მშობლებმა, მამა და ნათელამ, დიდის ამბით გაცდილეს ბაჭია და არსენა ტუისკენ. აღუთქვეს, რომ ესტუმრებოდნენ მეგობრებს მუხის ძირში და საჩუქრებსაც მიაღებდნენ!.. ოღონდ ბაჭია სშირსშირად მოგვიყვანო!—დააუბლეს არსენას. არსენაც დაპირდა, რა თქმა უნდა, ჩაიხუტა მეგობარი გულში და გამაღებით სავარელი მუხისკენ გაიქცა...

არსენა და ბაჭია მხოლოდ ღამით გაეყრებოდნენ ერთმანეთს. ეს იმიტომ იყო, რომ არსენას ტუეში არ შეეძლო ღამის გათევა. საღამომობით, როცა შედამდებოდა, არსენა ფულუროში მოათავსებდა თავის მეგობარს, გამოემშვიდობებოდა, კარედან მაგრად ჩაუკეტავდა კარს და დიდრონ ქვესაც მიადებდა ზედ გასამაგრებლად, რათა უზრუნველ ეყო ბაჭია ყოველი შემოსევებისაგან. ღამ-ღამობით ტუეში სომ ბევრი მსვდი ნადირობს. ტურა, მკელი და სხვა მრავალი ბაჭიას-



თანა უწეინარ ცხოველს არასოდეს დაინდობენ!... ბუძაც ღამით იცის სოლმე ნადირობა, და ეს ფრინველიც სომ მტერია ბაჭიებისა!!

დილას, კანთიადისას, მოაკითხავდა ბაჭიას არსენა. საუზმეს რასმე მიუტანდა და ნასაუზმევს კი მდუღოზე გაანავარდებდა, განსახლისებლად გაასეირნებდა. შემდეგ კი იწუებოდა ჩვეულებრივი დღე... ისე შეეჩვია ბაჭია მუხის ძირს, რომ საკუთარ ეზოდ მიაჩნდა იგი. მარტო არასოდეს გასცილდებოდა სოლმე მუხის ძირის ფარგალს. იქვე ჰქონდა საკენტი

ბაღასი, გასაკუნტრუშებლად საკმარისად ვრცელი ადგილი... და მეტი რა უნდოდა ბაჭიას! ხან-და-ხან, მართალია, კი მოიწეებდა ბაჭია და ძალიანაც მოიწეებდა, მაგრამ ეს ხდებოდა კვირაში ერთხელ, ან ორხელ, და ისიც მოკლე ხნით. როგორც კი შეაშინებდა მეგობარს მოწეებას არსენა, შეისვენებდა მასთან განხლებოდა; მოეფერებოდა, მიუღალვრებდა მისებურად და იმდენ ტკბილს რასმე ეტეოდა, რომ ბაჭიას უმაღლესი გადგურებოდა გულიდან მოწეუნილობა..

მთელმა სოფელმა იცოდა ბაჭიას ამბავი. არსენას ტოლი მეზობლები ხშირად მოინახულებდნენ სოფელს მას. ნაირ-ნაირ საჭმელებსაც მოუტანდნენ ხშირად. ბაჭიაც იცნობდა მათ ვეჟელას და მეგობრულად დაუხვდებოდა სტუმრებს არსენასთან ერთად...

ძალიან ჭკვიანი იყო ბაჭია და საოცრად მისხვედრილი!.. ხასიათიც საბოლოო ჭკონდა, და დიდად მოსიყვარულე იყო!.. როცა არსენა კითხულობდა წიგნს, ან სატავდა, ბაჭია გვერდით მოუჯდებოდა და სულს განაბავდა. ასე გვეგონებოდა, ჟურს უკდების კითხვასაო, ან სატავს თვალს ადევნებსო, და ერთიცა და მეორეც კარგად ესმისო!...

* *

ერთხელ არსენა მუხის ტანსა და ტოტს შუა იყო ჩამჯდარი და წიგნს კითხულობდა. ძირს ფუღუროს კართან კი ბაჭიას მოკვლათნა და თვალები მახლობელ ბუჩქნარისკენ მიეპერო. მოწეუნილი იყო რაღაცნაირად ბაჭია და ნაღვლიანი იმჟირებოდა. არსენა კი წიგნის კითხვას გაეცანა. უცბად, სწორედ იმ ბუჩქნარიდან, საითკენაც მოწეუნი იმჟირებოდა ბაჭია, უცნაური ჩქამი გაისმა. ჟურები სცქვიტა ბაჭიამ და ფეხებზე დადგა. ხელმოკრედ გაისმა ჩქამი. ბაჭიას შეეშინდა. ისიც იყო ფუღუროში შევარდნა დაახირა, რომ თვალში ისეთი ვინმე მოხვდა, რომ სადაც იდგა, იქვე გაშეშდა. ჰატა-

რა ხანიც და ბუჩქნარიდან მიწასე დაკრული ბაჭიას დედა-
კურდღელი შეუმჩნეველი ცოცვით გამოსოხდა. გაიხედა აქეთ-
იქით და შემდეგ მოულოდნელი სწრაფი წასტომით იქვე მდგარ
ხესთან მივარდა, მის პირში დაიძალა... ამის დანახვასე დაი-
ბნა ბაჭია. გულიც ისე აუტოკდა, რომ ფეხებზე ვერ ჩერდუ-
ბოდა; საწეალი მთელი ტანით აცანცანებულიყო. რა ექნა, არ
იცოდა. ერთიც მადლა, არსენასკენ, გაიხედა და შემდეგ წინ
წაცუნცუნლდა. ფრთხილად დახვეწა იქაურობა, მაგრამ ვერა-
ვინ დაინახა. გაუკვირდა. გაჭეკა სისიკენ; მისუნ-მოსუნა გზა
უნახვამ კი აკრძნობინა დედის იქ უოფნა. მოუთმენლად გაი-
წია კიდევ წინ. მაშინ კი, თითქო მიწიდან ამომპვრალიყოს,
მთელის ტანით წარსდგა მის წინ თითქმის დავიწყებული მი-
სი საუვარელი დედა-კურდღელი. ვერ მოახწრო გამორკვევა,
რომ დედა მივარდა მას და უელი გადააჭდო. ტკბილი სით-
ბო იგრძნო ბაჭიამ დედის ტანის შესებისაგან. მთელი ქვეუ-
ნა გადართილდა მის თვალში. ჩაეკონა დედას. მიეხუტა, მუ-
ძუბებში ჩაუძვრა. დედამ კი გამალებით დაუწყო ლოკვა. მოა-
გონდა ბაჭიას მშობლური ლოკვის სიტკბო. მეტად საამო
რამ გრძნობამ გულში გაუღიტინა. ნეტარების ცრემლით ბავ-
სო თვალები. .

ლევ ქაჩელა

(შემდეგი იქნება)





მღვდლის შვილი

(რაჭაში ჩაწერილი ზღაპარი).



ყო და არა იყო რა,—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,—იყო ერთი ბებერი, ღარიბი მღვდელი; ჭეპჯა ცოლი და ერთი შვილი. სიკვდილის წინ მღვდელმა დაიბარა—პირველი საძი დაჰე მის დასაფლავების შემდეგ მის საფლავზე ეთაბ.

მოკვდა მღვდელი და დაასაფლავეს. მისმა შვილმა გადიკიდა თოფი და წავიდა მამის საფლავზე დაძმის სათევად. გაათაბა პირველი ღამე, მეორე ღამე; მესამე ღამეს ალიონზე მღვდლის საფლავზე გადირბინა პატარა წიწილმა. თვალი მოჭკრა თუ არა მღვდლის შვილმა, ჩამოიხსნა თოფი, ესროლა და მოჭკლა წიწილა. როცა გათენდა, მღვდლის შვილი სახლისაკენ წამოვიდა. გზაზე მას ერთი ურია შეევაჭრა წიწილს. ჯერ მღვდლის შვილი უარზე იდგა, არ უნდოდა გაეყიდა წიწილი. მაგრამ ურიამ ასი მანეთი მისცა და გაჭვიდა. როცა ურიამ გამოართვა წიწილი და წაიღო, მღვდლის შვილი დაუფიქრდა და სთქვა გულში: „ურიამ წიწილში ასი მანეთი მომცა, უთუოდ კარგი უნდა იყოსო“, და გაჭევა თვალ-უურის სადევნელად.

ურიამ წაიღო წიწილი და ერთ ქალს შესწავაზად მიაბარა...

ზატარა ხანს უკან მღვდლის შვილი მივიდა იმ ქალთან და, როგორც ურიის გამოგზავნილმა, მოსთხოვა შემწვარი წიწილი. ქალმა გამოატანა წიწილი და მღვდლის შვილიც გამოეშურა სახლისაკენ... მივიდა თუ არა სახლის ჭისკართან, წიწილი წელად გადაიქცა და ძირს დაეღვარა. დაიხედა სელზე და ნახა, რომ შუა თითზე ბეჭედი წამოცმოდა. მივიდა სახლში, დედას უამბო ეველაფერი. დედამ უთხრა, ბეჭედი კარგია, შვილო, და არ დაკარგო!

ღალამდა. უცებ მათ სახლში გაჩნდნენ ეშმაკები, შემოეხეივნენ მღვდლის შვილს:—რას გვიბრძანებ, ემაწვილო, რას გვაძუშავებო?—ეუბნებოდნენ ეშმაკები...

—ეხო გაძიწმინდეთ და კარგი სახლი დამიდგითო!—იუო ბრძანებდა.

გათენდა დილა. ეოველივე სურვილისამებრ იუო მზად. მღვდლის შვილი ისე გაამზარტავნდა, რომ თვისი დედა გააგზავნა სელმწიფესთან და ქალიშვილი სთხოვა საცოლოდ.

მეფემ ბებერი ქალი სასაცილოდ აიკდო და უთხრა:

ქალიშვილს იმას მიეცემ, ვინც იმ მდინარეს, ჭალაზე რომ მიდის, მოაბრუნებს და ჩემს ბაღს შუა ჩაატარებსო.

დაბრუნდა დედა და უთხრა შვილს მეფის ზასუხი. საღამოს მღვდლის შვილს კვლავ გარშემოურტუნენ ეშმაკები და ბრძანებას უცდიდნენ. მან უბრძანა:

—ჭალიდან დააბრუნეთ მდინარე და სელმწიფის ბაღს შუა ჩაატარეთო.

გათენდა დილა, გამოიხედა მეფემ, და შესანიშნავი სურათი თვალწინ წარმოუდგა. მეფეს გაახსენდა გუშინდელი დედაკაცი... ამ დროს მღვდლის შვილის დედა ისევ მივიდა სელ-

მწიფესთან და მოახსენა: ჩემმა შვილმა შეასრულა თქვენი ბრძანება და ქალიშვილი გთხოვათო.

მეფე კიდევ უარზე იდგა და უთხრა:

— ქალიშვილს მივათხოვებ მაშინ, თუ ამ მდინარის იქით და აქეთ ნაპირებზე ბაზარს გააშენებს და ბაზარში ააკებს დიდ ცისე-კოშკს და ბაზარშიც დასასხლებს სალსო.

დღეა დაბრუნდა სახლში და უთხრა შვილს, რაც დააბარა მეფემ. სწაღამოს კვლავინდებურად შემოესივნენ მღვდლის შვილს ეშმაკები:—რას გვიბრძანებთ, ემაწვილო, რას გვაძუშავებთო,—ეუბნებოდნენ.

— წადით და ახლავე გააშენეთ ბაზარი მეფის ბაღში და ააკეთ მაგარი ცისე-კოშკიო,—უბრძანა მან.

მეორე დღეს, გამოიხედა თუ არა ბაღისკენ მეფემ, თვალწინ გადაეშალა დიდი ქალაქი; ქალაქი იყო გაშენებული მდინარის ორსავე ნაპირზე, შუა ადგილას კი ცისე-კოშკი ამშვენებდა. მეფემ მსწრაფლ დაიბარა მღვდლის შვილი და დასწერა ჯვარი თავის ქალიშვილზე...

ოვეელივე ეს გაიგო ურიამ და მისვდა, რაშიც იყო საქმე. იგი გაეშურა მაშინათვე მღვდლის შვილთან, ვითომც და გვირგვინ-მადლის მისაღოცაზად (გვირგვინ-მადლი ჯვრის წერით გაბედნიერებაა). იგი მივიდა მღვდლის შვილთან და დიდის ამბვით მიულოცა გაბედნიერება...

ურიამ იძენი ეშმაკობა გასწია, რომ ბეჭედი წამოიცოცხელზე და გასწია სახლისაკენ. მივიდა სახლში თუ არა, დაღამდა. შემოესივნენ ეშმაკები და ეკითხებოდნენ: რას გვიბრძანებთ, ბატონო, რას გვაძუშავებთო? ურიამ უბრძანა: ის ციხე-ქალაქი მეფისა მოძალეთ, მდინარეს მიეცით უწინდელი გზა და მე და მზისუნახავი ცხრა მთას იქით დაგვასახლეთო.

გათენდა დილა. გამოისედა მღვდლის შვილმა: აღარაფერი გააჩნდა; დაღონდა ძალიან და სთქვა:—ან ჩემი თავი უნდა მოვიკლა და ან მშისუნახავი ვიპოვნო. გამოემშვიდობა დედას და ძეგს და გაუდგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შესვდა ერთ კაცს, რომელსაც უამბო თავის თავგადასავალი და სთხოვა ესწავლებია, თუ სად სცხოვრობდა ურია. მან უთხრა:—მე არაფერი ვიცი მაგის შესახებ და შეგიძლია გაიგო თაგვეთის ხელმწიფესთან, რომლის სასახლეც აი იმ შავ მთას იქით არის აკებულიო. მანვე მისცა ერთი კატა და დაარია:—თაგვეთის ძეგს სასახლეში სწვადასწვა მსეცები და ფრინველები ჰქავესმცველად და კერძებს შესვლას სასახლეში, თუ დრო არ აუჩნდეს. ეს მსეცები და ფრინველები იძინებენ ყოველდღე შუადღისას და ამ დროს შეგიძლია შესვიდე სასახლეში. თუ თაგვეთის ძეგე გაგიწერეს და არა გაგაკებინოს რა, ეს კატა დაიანახვე: შეძინდება და ველარაფერს გაგიბედავსო!

გამოემშვიდობა მღვდლის შვილი ამ კაცს და გასწია თაგვეთის ძეგის სასახლისაკენ. იქ იცადა შუა დღემდის. შუადღეზე, როდესაც მცველებს დაემინათ, მღვდლის შვილი ფეხაგრეფით შევიდა სასახლეში. იქ თაგვეთის ძეგე იჯდა ტახტზე; მასთან შეკრებილნი იყვნენ მისი კეზირ-ნაზირები და რწევა ჰქონდათ. დაინახა თუ არა ძეგემ თავის სასახლეში მღვდლის შვილი, დააპარტყუნა ფეხები და საშინლად გაწერა. მღვდლის შვილმა ამოაოფინა კალათიდან კატას თავი. კატის შესვდაზე ძეგე შიშისაგან ძირს ჩამოვარდა და მისი ნაზირ-ვეზირები იქით-აქით გაიფანტნენ. მღვდლის შვილმა აიკვანა ძეგე, დასვა ტახტზე და უთხრა, რომ ის არაფერს

ერწოდა, თუ ასწავლიდა ურიას, რომელსაც ბეჭედი ჰქონდა წაღებული; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაუშვებდა კატას მათ სასახლეში.

მეფე შედგა ტახტზე, მოუწოდა ეგელას და გამოუცხადა, თუ იცოდნენ, სად იყო ურია, ესწავლებიათ მისთვის. მაგრამ არაყინ იცოდა... ამ დროს შემოვიდა ერთი ფეხ-მოტეხილითაგვი, რომელსაც დაკვიანებოდა მოსვლა სიკოჭლის გამო. როდესაც გაიგო ამ თაგვმა, რაში იყო საქმე, სთქვა: ურია თვისი მშისუნახავით ცხრა მთას იქით სცხოვრობს. მაგრამ კაცს იქ მისვლა არ შეუძლიაო. თუ საჭირო იქნება, მე წავალ. მხოლოდ უნდა მიშოვოთ ერთი ქილა მქარი და ჩაღის ნაღერაღა. უშოვეს ერთი ქილა მქარი და ჩაღის ნაღერაღა ამ თაგვს და იგი გაემკზავრა ურიისაკენ.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შესვდა ერთი დიდი ზღვა. ჩააგდო ჩაღის ღერი, შეჯდა ზედა და გასცურა მეორე კიდეზე. ამგვარად გადაიარა სხვა ზღვებიც და ცხრა დიდი მთა. დიდი წვალების შემდეგ მივიდა ურიის სასახლეკთან. დაჰე იყო. ურიას და მის ცოლს ეძინათ. შევიდა სასახლეში. ნახა, რომ ურიას წამოუცვამს ბეჭედი უღვაშებზე, ჩაუსკვნია უღვაშები და მერე ბეჭედი ზირში ჩაუდგია. თაგვი მივიდა და მოკვნიტა უღვაშები, ჩაჭო კუდი მძრის ქილაში, დაისველა და შეუყო ურიას ცხვირის ერთ ნესტოში. კიდევ დაისველა და ჩაუყო მეორე ნესტოში ურიას ცხვირს დააწყვია და გადმოაგდო ბეჭედი ძირს. თაგვმა სტაცა ხელი ბეჭედს და გამოეშურა თავის ქვეყნისაკენ. მიუტანა ბეჭედი მღვდლის შვილს.

მღვდლის შვილი გამოემშვიდობა და წამოვიდა სახლისაკენ. გზაში დაღამდა, მაშინვე შემოესვივნენ ეშმაკები და

ბრძანებას უცდიდნენ. მან მაშინათვე უბრძანა გაეშენებინათ მისთვის კარგი ბაღი და ბაღში აეგოთ ღამისი სახლი, ხოლო ის შვინუნახავი, რომელიც ჰქვავდა ურიას ცხრა მთას იქით, მოეუვანათ მისთვის. ეშმაკებმა უოველივე შეასრულეს. მღვდლის შვილი ცხოვრობდა არწეინად, მდიდრულად, თავის საქმეს კი ეშმაკებს აკეთებინებდა.

3. შარაბიძე.





მელას ეშპაკობა



ველა სულდგულის უეჟარს სიცოცხლე, შხის
შუქი, თავისუფლება. მელასაც უეჟარს, რასაკვი-
რველია, და ზოგჯერ საოცარ ეშპაკობას, დი-
დის გამჭრინახობით მოუფიქრებულ ხერხს
მიმართავს სოღმე მტრისაგან თავის დასა-
ღწევად, სიცოცხლისა და თავისუფლების
დასაცვლად.

სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი სერტონ ტომპსონი მოგვითხრობს შემდეგ საკვირველ ამბებს მელას ცხოვრუბიდან. თოვებით შეიარაღებული მონადირეები წაჰიძნენ ტყეში მელას სანადიროდ და თან კარგად დახერშილი მუქებარი ძაღლები წაიყუანეს. ძაღლებმა ძაღუ მიაცნეს ტყეში მელას კვალს, გაჭეუნენ კვალ-და-კვალ და ადვილად ჩაიგდებდნენ ხელში, მელას რომ უეცრად არ მოუფიქრებია ერთი საოცარი, მოულოდნელი ხერხი ძაღლებისაგან თავის დასაღწევად. მტრებისაგან დევნილი მელა უეცრად გამოვარდა ტყის შუა გულ მინდორზე, სადაც ცხვრის ფარა იყო გაშლილი და ბაღასს სძოვდა. ელვის სისწრაფით მელამ აარჩია ერთი ეველაზე

უდიდესი ცხვარი, ზურგზე შეასტა და კისერში მაგრად კბილები ჩასჭიდა. თავზარდაცემული, გამწარებული ცხვარი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა და მის ზურგზე დასკუპებულ მსუდართან ერთად ტყეში დაიკარგა. ძაღვ ძაღვებიც გამოავარდნენ პინდორზე, მისდევდნენ მელას კვალს და გაჩერდნენ იმ ადგილას, სადაც ეს კვალი უეცრად სადღაც დაიკარგა: სწორედ იქ, სადაც მელა, თავისი კვალის დასამალავად და ძაღვების დასაბნეევად დიდ ცხვარს ზურგზე შეასტა. დიდი ცხვარი უეჭველად იმიტომ აირჩია მელამ, რომ ამ ცხოველს მისი ზიდვა შესძლებოდა.

ერთსელ სეტონ ტომპსონი რკინის გზის ლიანდაგზე გამოვიდა და შორიდან დაინახა მელა, რომელიც რელსზე მიცუსცულებდა, მიწას ფეხს არ აკარებდა.

სეტონ ტომპსონი დაფიქრდა და მიხვდა, რა აზრით სჩადიოდა ამას მელა. ამ ეშმაკმა ცხოველმა უეჭველად კარგად იცოდა, რომ მაგარ რკინას კვალი არ დაანდებდა და განსრას შირბოდა რელსის რკინაზე, მიწას ფეხს არ აკარებდა, რომ ამნაირად მტრებისათვის თავისი კვალი უჩინარი გაეხადა.

გ. გ.





ჩ ს უ ბ ი



იე! ტაე! ტიკ, ტაე! გაბმულად აკაეუნებდა
საათის ენა და აქეთ-იქით იუზრებოდა.

—რა საზოგადოება გვანვევია!—ამბობ-
და საათი.—ტუტუცებზე ტუტუცები! შანდა-
ლი თავის სანთლით, სურათი, მაგიდაზე რო
დგას, და წიგნები. მოუკუშიათ ზირი და გაჩუმებულან.

—როგორც გეტუობა, ვერ მიცნობ?—გამოსძახა საშხარეუ-
ლოდან სამოვარმა:—მე ძალიან კარგი შიშინი და ჩუხჩუხი
ვიცი.

—ერთი შეხედე, მშვენიერი შიშინი და ჩუხჩუხი ვიციო!
მერე როდის შიშინებ და ჩუხჩუხებ? მხოლოდ მაშინ, როცა
წეალს ჩაგისხამენ და ცეცხლს ჩაგივრიან. ოჲ, დიდი რამ არის!
აი, ხედავ: წეალი და ცეცხლი არ გაქვს—და გაჩუმებული სარ.

—მე კიდევ მშვენიერი შიშინი ვიცი,—წაბურტუტა ტა-
ფამ.

—მე კი ფხაკუნი ვიცი,—გააწუვეტინა ეავის საფუქველმა:—
მერე ისე ვარახუნ-ვაფხაკუნებ რომ საათო, შენი ხმა სულ
ღღარ ისმის.

—მე ისე ვუბერავ, როგორც ქარიშხალი, —წამოიძახა სა-
ბერველმა.

— შე კიდევ, როგორც ქუხილი, ისე ვგრიხლებო,— იმასო და აზანდასტა.

— გასწით, თქვე შევეხარებო!— სიხლით შენიშნა საათმა.

— თქვენ თქვენთავად არაფერი შეგიძლიათ. რას იკვებებით? აბა შე შემომხედეთ. დღე და ღამე არ ვგრძობი.

— არც თუ შენა გაქვს რამე საკვებისარი!— შენიშნა ჰატარა ბიჭმა, რომელიც იმათ ჩხუბს ეურს უგდებდა:— შენც კი გაჩერდებოდი, მაშა რომ არა გპართავდეს ეოველ დღე.

ან. ახალშენაშვილი.



რეცეპტი

(წარმოდგენილი დ. კლავიაშვილის მიერ)



ნასესხებ
ფულს
რა ჰქვია?

1



ეურმენს რომ
დასწურავენ,
— რა რჩება?

3



2



4

მე-10 №-ში მოთავსებულ შარადის და რებუსის აღსნა:

1, კაკალი, 2, გაზაფხულდა, ბუჩქის შირას თავს იწონებს ნაზი ია.